3 №2-642 195

საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

N 53 983
03/04/2019

საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118–ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ და საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 მარტის #54 15 განკარგულების „საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონი და პრივატიზებული იქნას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მერჯევში მდებარე N35.08.50.032 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება, შენობა-ნაგებობა 558.40 კვ.მ (მშენებარე).

2. ელ-აუქციონის დაწყების დროდ განისაზღვროს 2019 წლის 10 აპრილი და დასრულების დროდ ამავე წლის 16 აპრილი.

3. უძრავი ქონების საწყისი საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე დადგენილი ქონების საფასურის ღირებულებით 7045 ლარის ოდენობით . „ბე“ და „ბიჯი“ საწყისი საფასურის 10–10 პროცენტით.

4. ბრძანება გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და სააუქციონო კომისიას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე, დ.აღმაშენებლის ქუჩა #3).

ბენიამენ ფალავანდიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი